რესურსცენტრის უფროსი:

- *ხელმძღვანელობს რესურსცენტრს, წარმოადგენს რესურსცენტრს მესამე პირებთან ურთიერთობაში, წარმართავს მის საქმიანობას და წყვეტს რესურსცენტრის გამგებლობის სფეროსათვის მიკუთვნებულ საკითხებს;*
- *პასუხისმგებელია საქართველოს კონსტიტუციის, კანონების, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების, მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების შესრულებაზე; კანონით დადგენილი წესით ახორციელებს სამსახურეობრივ ზედამხედველობას რესურსცენტრის თანამშრომელთა საქმიანობაზე;*
- *იღებს გადაწყვეტილებებს საბიუჯეტო სახსრების მიზნობრივად გამოყენების შესახებ; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დასამტკიცებლად წარუდგენს რესურს-ცენტრის მუშაობის ყოველწლიურ გეგმას. კანონით დადგენილი წესით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დამტკიცებული საშტატო განრიგის შესაბამისად თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს რსურს-ცენტრის თანამშრომლებს;*
- *თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, ამტკიცებს რესურს-ცენტრის შინაგანაწესს.შესაბამისი ღონისძიებების გატარებით ხელს უწყობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემუშავებული ნოვაციების და პროგრამების დანერგვას თავის სამოქმედო ტერიტორიაზე არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებსა და პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში;*
- *თვალყურს ადევნებს სამოქმედო ტერიტორიაზე არსებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ განათლების სფეროში მოქმედი კანონების და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების, აგრეთვე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ გამოცემული სხვა სამართლებრივი აქტების შესრულებას;*
- *ხელმძღვანელობს და კოორდინაციას უწევს ცენტრის თანამშრომლების მიერ ინფორმაციის მოგროვებას-დამუშავებას და შესაბამისი სტრუქტურებისათვის მიწოდებას;*
- *უზრუნველყოფს სკოლების ანგარიშების საფუძველზე ცენტრის თანამშრომლების მიერ სწავლა-სწავლების პროცესის ხარისხის გაუმჯობესების შესახებ შესაბამისი რეკომენდაციების და წინადადებების შემუშავებას და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთვის წარდგენას;*
- *მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით განიხილავს ფიზიკური და იურიდიული პირების კორესპოდენციებს;*
- *საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარუდგენს ანგარიშს გაწეული სამუშაოს შესახებ და აძლევს რეკომენდაციებს განსახორციელებელი მოქმედების შესახებ;*
- ***პასუხისმგებელია** რესურსცენტრის სარგებლობაში არსებული სახელმწიფო ქონების დაცვასა და მიზნობრივად გამოყენებაზე.*